



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 0 20 00210150



18/02/2020

**„პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 17 თებერვლის №195143 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებაში და ბრძანების:

**ა) მე-10 მუხლის:**

**ა.ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. პროფესიულ სტანდარტში/ჩარჩო დოკუმენტში/მოდულში ცვლილებები (მათ შორის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირების ცვლილება) შესაძლოა განხორციელდეს დარგობრივ საბჭოზე განხილვის გარეშე, ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტით თუ:

ა) ცვლილება ტექნიკური ხასიათისაა;

ბ) ცვლილების განხორციელება გამოწვეულია გადაუდებელი აუცილებლობით, როდესაც დაყოვნებამ შესაძლებელია გამოიწვიოს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფერხება და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების შეზღუდვა აღნიშნული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით.“

**ა.ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„9. ჩარჩო დოკუმენტში სარეკომენდაციო მატერიალურ რესურსის ჩამონათვალში არატექნიკური სახის ცვლილებები, რომლებიც იწვევს რესურსის დამატებას და/ან ამოღებას, ხორციელდება დარგობრივ საბჭოზე განხილვის საფუძველზე.“.

**ა.გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„10. „ჩარჩო დოკუმენტებში/მოდულებში განხორციელებული ცვლილება ძალაში შევიდეს ცვლილების შესახებ აქტის გამოცემიდან 6 თვის შემდეგ, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლებიც არ იწვევს განმახორციელებელი დაწესებულების მიერ, ამ ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის და ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ცვლილებების თაობაზე ცენტრის ინფორმირების აუცილებლობას, რის თაობაზეც ამ წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებთან ერთად ცენტრის დირექტორს წარედგინება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია.“.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრი

დირექტორი

მანანაშვილი თამარ

თ. მანანაშვილი